ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში

მე-12 პერიოდული მიმოხილვა

საინფორმაციო მასალა მომზადებულია - "საქართველოს ევროპული ორბიტას" მიერ და ეფუძნება საჯაროდ გავრცელებულ წყაროებს

ივლისი-აგვისტო, 2026

- **უწყვეტი საზოგადოებრივი პროტესტი**

წელიწადი და 9 თვეა საქართველოში უწყვეტად გრძელდება საზოგადოებრივი პროტესტი, რომელიც 2025 წლის 28 ნოემბერს "ქართული ოცნების" ხელისუფლების მიერ ევროინტეგრაციის შეჩერების გადაწყეტილებას მოჰყვა.

პროტესტის მონაწილეთა მიმართ გატარებული რეპრესიების მიუხედავად, პროტესტი არათუ შეწყვეტილა - ტრანსფორმირდა. მოქალაქეები ყოველ შაბათს საღამოს მრავალრიცხოვანი მარშით აპროტესტებენ ქვეყანაში მზარდ ავტორიტარიზმსა და დემოკრატიის უკუსვლას. 5 ივლისს რუსთაველის გამზირზე უწყვეტი პროტესტის მონაწილეებმა ღია წერილით მიმართეს ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს და პირობა დადეს, რომ პროტესტი გაგრძელდება პოლიტპატიმრების გათავისუფლებამდე, ქვეყნის ევროპული კურსის აღდგენამდე და თავისუფალი სამართლიანი არჩევნების ჩატარებამდე.

- **რეპრესიები პროტესტში ჩართული მოქალაქეების წინააღმდეგ**

გრძელდება რეპრესიები პროტესტის მონაწილეთა მიმართ, რაც გამოიხატება როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი პატიმრობებით, ასევე, ფიზიკური ანგარიშსწორებებით.

რეპრესიების სივრცე გასცდა ქუჩას და სოციალური ქსელების პოსტებსა და კომენტარებსაც მოიცავს. ფეისბუქ სტატუსებისა და კომენტარების გამო დაკისრებული ჯარიმები და პატიმრობა აჩვენებს, რომ სოციალურ ქსელში თანამდებობის პირთა „შეურაცხყოფისთვის“ გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სიმძიმით სისხლისსამართლებრივ სასჯელებს უტოლდება:

- პატიმრობა ფეისბუქზე დაწერილი პოსტის გამო

სასამართლომ 14 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა ტვ "ფორმულის" ჟურნალისტს, ვახო სანაიას პარლამენტის სპიკერის, შალვა პაპუაშვილისა და დეპუტატ ვლადიმერ ბოჟაძის “შეურაცხყოფის” გამო სოციალურ ქსელში. ხოლო აქტივისტსა და საპროტესტო აქციების აქტიურ მონაწილეს, გიორგი ახობაძეს ასევე ფეისბუქზე დაწერილი პოსტით თანამდებობის პირების “შეურაცხყოფისთვის” - 25-დღიანი პატიმრობა შეეფარდა.

- პატიმრობა მაისურზე წარწერის გამო

პროტესტის 69 წლის მონაწილეს მაისურზე გაკეთებული წარწერის გამო 15 დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. პოლიციამ წარწერა “შეურაცხმყოფელად” მიიჩნია. ამასთანავე, პოლიცია მასვე ედავებოდა დაუსაბუთებელ ბრალს - პოლიციის შეურაცხყოფას, რაც სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერებით არ დასტურდებოდა.

- ორგანიზებული დისკრედიტაციის კამპანია, ჩასაფრება და ფიზიკური ანგარიშსწორება

სამთავრობო მედია საშუალებების რამდენიმედღიანი კოორდინირებული დისკრედიტაციის კამპანიის შემდეგ, 22 ივლისს, გვიან საღამოს, საპროტესტო აქციების აქტიურ მონაწილეს, კომიკოსს ონისე ოქრიაშვილს რამდენიმე პირი ჩაუსაფრდა და ფიზიკურად გაუსწორდა. ონისე ოქრიაშვილს კლინიკაში გადაყვანა და გამოკვლევების ჩატარება დასჭირდა. ამ ტიპის თავდასხმები პროტესტის მხარდამჭერი მსახიობებისა და კომიკოსების მიმართ პირველი შემთხვევა არ არის.

თავდასხმას წინ უსწრებდა სახელისუფლებო მედიის მიერ კომიკოსის გაშავებისა და დეჰუმანიზაციის კამპანია - კონტექსტიდან ამოგლეჯილი მცირე ნაწყვეტის მიზანმიმართული გავრცელება, რომელშიც ოქრიაშვილი ვითომდა შეურაცხყოფას აყენებს პოპულარულ ქართველ მწერალს. “ქართული ოცნების” წარმამადგენლებმა

ფაქტობრივად პირდაპირ დაუჭირეს მხარი ძალადობას. "იმდენი შეგნება თუ არ გაქვს, არ იხუმრო ეკლესიაზე, პატრიარქზე, მწერლებზე, ვერ დაგიცავს პოლიცია ყველგან... ცუდია, რაც მოხდა, მაგრამ არავის "გაუტარებს" ქართული საზოგადოება" - განაცხადა "ქართული ოცნების" წევრმა ირაკლი ზარქუამ.

ძალადობის სავარუდო ორგანიზებულობაზე მიუთითებს ისიც, რომ ბრალდებულ პირს მხოლოდ 5000 ლარიანი გირაო შეეფარდა. მას სასამართლოს ეზოში „ქართულ ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები და "ქართული ოცნების" მხარდამჭერები ღიად გულშემატკივრობდნენ.

- ე.წ. "სადამსჯელო რაზმების" ფორმირების მცდელობა

27 ივლისს MMA-ის მებრძოლმა და "ქართული ოცნების" მხარდამჭერმა გიორგი ქართველიშვილმა "ეროვნული სიწმინდეების" დასაცავად დაჯგუფება შექმნა" და უცხოეთიდან დაფინანსებული ფსევდოლიბერალური ჯგუფების წინააღმდეგ" ბრძოლა დააანონსა, პრესკონფერენციაზე ქართველიშვილმა საჭიროების შემთხვევაში "საცხო საქმეებზე წასვლაც" კი არ გამორიცხა, ანუ ღიად განაცხადა, რომ "ეროვნული სიწმინდეების" დასაცავად მომავალში დანაშაულების ჩადენაზეც კი წამსვლელია.

ე.წ. "სიწმინდეების დაცვის" ამ ინიციატივას სრულად გამოუცხადა მხარდაჭერა "ქართულმა ოცნებამ", რომლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, არჩილ გორდულაძემ განაცხადა: „კარგია, როდესაც ადამიანებს აქვთ სურვილი, რომ დაიცვან, ხმა აიმაღლონ ქვეყნის კულტურის, ქვეყნის რწმენის, ადამიანების უფლებების, ისტორიის წინააღმდეგ მიმართულ მიზანმიმართულ ქმედებებზე."

აღნიშნული ინიციატივა საზოგადოებამ მაშინვე შეაფასა, როგორც სადამსჯელო რაზმებისა და არაფორმალური „მორალის პოლიციის" შექმნის მცდელობა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ე.წ. „მარბიელი რაზმების" შექმნის იდეა არასერიოზულ ინიციატივად მიიჩნია. თემა ხელისუფლების მიმართ მასობრივი ქილიკის საგნად იქცა, რამაც საბოლოოდ დაჯგუფების საჯარო სივრციდან გარიდება გამოიწვია.

ინიციატივის მმართველ ძალასთან კავშირზე მიუთითებს, ის ფაქტიც, რომ საზოგადოებისგან მწვავე რეაქციის მიღების შემდეგ, ქართველიშვილის "დაცვა" პროსახელისუფლებო მედიამ უზრუნველყო.

- **საპოლიციო ძალადობა**

17 ივლისს 2025 წლის ივლისში პოლიციის განყოფილებაში დაკავებული და სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შედეგად გარდაცვლილი ალან ყაყიტაშვილის მეგობრის და ფაქტის თვითმხილველის ინტერვიუ გამოქვეყნდა. ინტერვიუში მოწმემ დეტალურად ისაუბრა პოლიციის შენობაში მისი და ალან ყაყიტაშვილის წინააღმდეგ ფიზიკური ანგარიშსწორების თაობაზე, რის შედეგადაც ალან ყაყიტაშვილი პოლიციის განყოფილებიდან სასწრაფომ წაიყვანა, ხოლო 2 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

არასამთავრობო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ერთი წლის, მომხდარისთანავე აცხადებდნენ, რომ ალან ყაყიტაშვილი წამების მსხვერპლი იყო და მოითხოვდნენ პოლიციის იმ თანამშრომლების და თანამდებობის პირების დაუყოვნებლივ იდენტიფიცირებას, ვინც დაკითხვის პროცესში მონაწილეობდა, მათ დაკავებას და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას წამების მუხლით და გამჭვირვალე, სრულ და ეფექტიან გამოძიებას.

ალან ყაყიტაშვილის საქმეზე გამოძიება გრძელდება და ამ დროისათვის არცერთი პოლიციელის პასუხისმგებლობა არ დამდგარა.

- **უკანონო პატიმრების პირობები ციხეში**

- ციხის პირობები, გადატვირთულობა, სამედიცნო დახმარების მიღების შეზღუდვა

სინდისის პატიმარმა ზვიად ცეცხლაძემ ციხიდან გამოგზავნილ წერილში სისტემურ წამებად და არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპრყობად შეაფასა იქ არსებული მდგომარეობა, მათ შორის:

- საკნები იმდენად გადატვირთულია, რომ შეუძლებელია ნორმალურად გადაადგილება. არასაკმარისია ინვენტარი (თეთრეული) ზედმეტი რაოდენობის პატიმრების გამო;
- ციხის საკანში მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობაში მყოფი პირის შესახლება თანამესაკნეთა მოვლის იმედად, როცა პირს სჭირდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და ვერ ახერხებს დამოუკიდებლად გადადგილებას, მათ შორის, ტუალეტით სარგებლობასაც კი და მუდმივად ელახება პატივი და ღირსება;

- საქმედიცინო დახმარების მიღების, ექიმთან ვიზიტის უფლების შეზღუდვა, მათ შორის ორ კვირაზე მეტი ვადით;
- საკარანტინო სივრცის ტარაკნებით, საკანალიზაციო სუნითა და ვირთხებით დაბიძურება;
- საკნებში არამწეველებისა და მწეველების ერთად მოთავსება;
- რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და ციხის ეკლესიაში წირვაზე დასწრების აკრძალვა;
- პატიმრის მიერ პრეტენზიის დაფიქსირებისას პასუხად მუქარის მიღება.

- დახურულ დაწესებულებაში გადაყვანა, როგორც დასჯის ფორმა

რუსული კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის დროს დაკავებული გიორგი ოკმელაშვილი ნახევრად ღია ტიპის დაწესებულების ნაცვლად დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაიყვანეს, რადგან დაუმძიმეს რისკის სახე, თუმცა არ განუმარტავთ ამის მიზეზი.

- სწავლის პირობები

ციხეში მყოფი სინდისის პატიმრების ნაწილი სწავლას ციხიდანაც ცდილობს, თუმცა საამისოდ უამრავ დაბრკოლებას აწყდებიან. სტუდენტ ზვიად ცეცხლაძის ცნობით, ციხის ადმინისტრაციამ ნება დართო მეხსიერების ბარათით ვიდეოლექციებს მოუსმინოს, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვიდეოლექციების მიწოდებაზე უარი უთხრა.

- წიგნების აკრძალვა

ციხეებსა და დაკავების დაწესებულებებში გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს პატიმრებისთვის მიწოდებული წიგნების გადარჩევა-ცენზურა პოლიტიკური შინაარსის გამო, თუმცა გაუგებარია პოლიტიკურობის შეფასების კრიტერიუმები და სტანდარტი.

ბოლო დროს პატიმართან არ დაუშვეს ლაშა ბუღაძის მხატვრული ნაწარმოები - *დამკვირვებელი.* სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, *დამკვირვებლის* სათაური რომანის შინაარსთან დაკავშირებით ბუნდოვანებას ქმნის

და მისი ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ იძლევა. უწყების შეფასებით, განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებასთან მიმართებით, წიგნის დაშვება მიზანშეწონილი არ იყო. ამგვარი განმარტება რესპექტაბელური სამოქალაქო ორგანიზაციის მიერ ცენზურად და ევროსასამართლოს პრაქტიკის დარღვევად შეფასდა.

- **პოლიტიკური შეწყალება**

28 აგვისტოს, მარიამობის ქრისტიანულ დღესასწაულთან დაკავშრებით, "ქართული ოცნების" პრეზიდენტმა, მიხეილ ყაველაშვილმა 226 ადამიანი შეიწყალა, მათ შორის 2024-2025 წლების საპროტესტო მოძრაობის დროს დაკავებული 9 პირი, რომელთაც, შეწყალების თხოვნა დაწერეს.

ამ ეტაპისთვის 2024 წლის პრო-ევროპული აქციებიდან მოყოლებული 2025 წლის 4 ოქტომბრამდე პატიმრობაში რჩება 42 პატიმარი; 2025 წლის 4 ოქტომბრის საქმესთან დაკავშირებით პატიმრობაში რჩება 40 პირი.

სახელისუფლებო პროპაგანდა აქტიურად იყენებს ამ შემთხვევას ყოფილი პატიმრებისა და საპროტესტო მოძრაობის გასაშავებლად და მიუთითებს, რომ ჰუმანური აქტი შეეხო მსჯავრდებულებს, რომლებმაც "სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაული" აღიარეს, მოინანიეს და მიხეილ ყაველაშვილს შეწყალების თხოვნით მიმართეს.

- **პოლიტიკურად მოტივირებული დევნა პოლიტიკოსთა წინააღმდეგ**

  - ოპოზიციონერი პოლიტიკოსების საქმე

სასამართლოში მიმდინარეობს ე.წ. "საბოტაჟის საქმის" განხილვა 8 ოპოზიციონერი პოლიტიკოსის (ელენე ხოშტარია, ნიკა გვარამია, მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, გიორგი ვაშაძე, ნიკა მელია, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე) წინააღმდეგ. საქმის განხილვა ზაფხულის განმავლობაში დაჩქარებულად მიმდინარეობდა, თუმცა, აგვისტოში შეჩერდა და სხდომები სექტემბრისთვის გაიდო. ე.წ. საბოტაჟის საქმეზე, რაც 2-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, 8 ოპოზიციონერ პოლიტიკოსს სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმიანობას, საერთაშორისო

ორგანიზაციებისთვის უფლებადარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გამო ედავებიან.

სხდომები დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ევროკავშირის წარმომადგენლობის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და პოლონეთის საელჩოების თხოვნა სხდომებზე დასწრების შესახებ.

საქმის ფიგურანტები საუბრობენ საქმის აბსოლუტურ აბსურდულობაზე, ბრალის დაუსაბუთებლობასა და მტკიცებულებების არარსებობაზე. აღსანიშნავია, რომ ამ საქმის პროკურორი, რომლის ფარგლებშიც ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს ბრალს სდებენ და-სავ-ლე-თის ქვეყ-ნებ-თან პირების დასანქცირებაზე მუშაობაში, თავად არის სანქცირებული.

ე.წ. "საბოტაჟის საქმის" ფარგლებში დევნის ინიციატორმა და "ქართული ოცნების" ე.წ. ექსპერტმა და ლევან ნიკოლეიშვილმა მიცემული ჩვენებისას ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები დანაშაულში მონაწილე ფიგურანტებად დაასახელა და ამტკიცებდა, რომ ისინი კაია კალასის, მარტა კოსის, ურსულა ფონ დენ ლაიენის და კელი დეგნანის "აგენტურული ჯგუფის მხარდამჭერები და თანამოაზრეები არიან".

- "ქართული ოცნების" ყოფილი პრემიერ მინისტრის პატიმრობის საქმე

ორგზის ყოფილ პრემიერ მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც ციხეში 5-წლიან სასჯელს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის იხდის, დამატებით კორუფციისთვის ბრალი წარუდგინეს. საპასუხოდ, ციხიდან ირაკლი ღარიბაშვილმა არაერთი წერილი გამოაქვეყნა, სადაც ის პატიმრობას მოქმედ ხელისუფლებასთან დადებულ პოლიტიკურ გარიგებად აფასებს. გარდა ამისა, ის მოქმედ პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს და სუსი-ს ყოფილი ხელმძღვანელს მამუკა მდინარაძეს ზეწოლაში და არარსებული დანაშაულის მისთვის დაბრალებაში ადანაშაულებს. წერილში ღარიბაშვილმა ისაუბრა, ასევე, მისი ოჯახის განადგურების მცდელობაზე და პასუხისმგებლობა მისი ოჯახის უსაფრთხოებაზე ბიძინა ივანიშვილს დააკისრა.

მამუკა მდინარაძე, რომელსაც ღარიბაშვილი გზავნილის გადამცემად ასახელებდა თანამდებობიდან გადადგა და პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

- **კრიტიკული მედიის შევიწროება**

კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია "ფორმულა" 5 000 ლარით დააჯარიმა ისეთი ტერმინების გამოყენების გამო, როგორიცაა - „ოცნების ხელისუფლება", „ქართული ოცნების პრეზიდენტი", „რეპრესიული კანონონები", „ოცნების რეჟიმის რეპრესიები" და ა.შ. ეს ბოლო ოთხ თვეში ტელეკომოანიის შინაარსობრივი რეგულირების მესამე შემთხვევაა.

კომუნიკაციების კომისიამ 5000 ლარით დააჯარიმა ტელეკომპანია "პირველიც", რაც არხისთვის დაკისრებული მეორე ასეთი ჯარიმაა 2025 წლის სადავო ცვლილებების საფუძველზე, რომლებიც მარეგულირებელს მედია კონტენტის რეგულირების უფრო ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს. კომიასიამ ტელეკომპანიას დარღვევად ჩაუთვალა ფრაზები: „დიდი ნადირობა მოაწყო", „სქროლვა სქრინვის სააგენტო", „ჩეჩნური ტიპის რაზმი", „აქტივისტებზე ნადირობა", „პოლიციას ნერვებმა უმტყუნა" და ა.შ.

მედიის ადვოკატირების კოალიციამ კომისიის ქმედებები რეპრესიული კანონმდებლობის იმპლემენტაციის საფარქვეშ დამოუკიდებელი მედიის მიზანმიმართულ დევნად შეაფასა, რაც „ქართული ოცნებისთვის" არასასურველი ინფორმაციის შეზღუდვას ემსახურება.